

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

1. ქიმიური პრეპარატი

იმპულსი, სკ (480 გ/ლ ფლუმოქსაზინი) / IMPULS, SC (480 G/L FLUMIOXAZIN)

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

ზემლაკოფფ ეუროპ ლიმიტედ სპ. ზ.ო.ო. / ZemlyakoFF Europe Limited Sp. Z o.o.

აღ. ვილანოვსკა, 83/52 02-765, ვარშავა, პოლონეთი / Al. Wilanowska 83/52 02-765 Warszawa, Poland

საგანგებო სამსახურის ტელეფონის ნომერი

112 – ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

ფიზიკური საშიშროება:

არ არის საშიში

ჯანმრთელობის საშიშროება:

არ არის საშიში

ეკოლოგიური საშიშროება:

წყლის გარემოს მიმართ საშიშროება, მწვავე

კატეგორია 1.

წყლის გარემოს მიმართ საშიშროება, ქრონიკული

კატეგორია 1.

სასიგნალო სიტყვა

სასიგნალო სიტყვა არ არის

საშიშროების შესახებ განცხადებები

ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.



გამაფრთხილებელი განცხადებები

პრეპარატი არ უნდა მოხვდეს ბუნებრივ გარემოში.

შეაგროვეთ დაღვრილი/დაფანტული პროდუქტი

შიგთავსისა და ტარის უტილიზაცია/განთავსება უნდა მოხდეს ადგილობრივი, სახელმწიფო და ფედერალური რეგულაციების შესაბამისად.

3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

შემადგენლობა

ბოსკალიდი

CAS No.

103361-09-7

% წონის მიხედვით

47.9 – 48.1

პროპილენ გლიკოლი

57-55-6

5.7 – 6.3

სხვა ინგრედიენტები

კომერციული საიდუმლო

3

სინონიმები: 2-[7-ფტორ-3,4-დიჰიდრო-3-ოქსო-4-(2-პროპინილ)-2H-1,4-ბენზოქსაზინ-6-ილ]-4,5,6,7-ტეტრაჰიდრო-1H-იზოინდოლ-1,3(2H)-დიონი

ინგრედიენტები, რომლებიც ზუსტად არ არის იდენტიფიცირებული, არის დაპატენტებული ან უსაფრთხო მნიშვნელობები არ არის პროდუქტის ტექნიკური მახასიათებლები.

4. პირველადი დახმარების ზომები

გადაყლაპვისას: არ დააღვინოთ ადამიანს არანაირი სითხე. არ გამოიწვიოთ პირღებინება, ტოქსიკოლოგიური ცენტრის ან ექიმის მითითებების გარეშე. არ გადააყლაპოთ არაფერი უგონო მდომარეობაში მყოფ ადამიანს. თუ სიმპტომები გამოვლინდა, მიმართეთ ექიმს.

თვალში მოხვედრისას: გახელილი თვალი ნელა და ფრთხილად გამოირეცხეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ, პირველი 5 წუთის შემდეგ და გააგრძელეთ თვალის გამორეცხვა. თუ თვალის გაღიზიანება გრძელდება, მიმართეთ ექიმს. **კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრისას:** გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. დაიბანეთ საპნითა და წყლით. თუ კანის გაღიზიანება ან სიმპტომები გამოვლინდა, მიმართეთ ექიმს.

ჩასუნთქვისას: დაშავებული გაიყვანეთ ზემოქმედების ზონიდან სუფთა ჰაერზე. თუ სიმპტომები გამოვლინდა, მიმართეთ ექიმს.

ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე, ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები: კანზე ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უმნიშვნელო გაღიზიანება. შეიძლება გამოიწვიოს თვალის მსუბუქი გაღიზიანება.

ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის საჭიროების ჩვენება: არ არის მოსალოდნელი.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ხანძრის ჩაქრობის საშუალებები: გამოიყენეთ გარემომცველი მასალებისათვის შესაფერისი ხანძრის ჩაქრობის საშუალებები. მშრალი ქიმიური ნივთიერება, ნახშირორჟანგი, ქაფი, წყლის ჭავლი ან ნისლი.

ხანძარსაწინააღმდეგო სპეციალური პროცედურები: მეხანძრეებმა უნდა გამოიყენონ NIOSH-ის მიერ აპრობირებული სასუნთქი ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და სრული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა. შემოზღუდეთ ტერიტორია ჩამონადენის შესაკავებლად და წყალსატევების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლის უტილიზაცია განახორციელეთ მოგვიანებით.

განსაკუთრებული საფრთხეები ხანძრისა და აფეთქების დროს: თუ ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენება წყალი, შეაკავეთ ჩამონადენი თხრილების/ჯებირების გამოყენებით, წყალმომარაგების სისტემების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლის უტილიზაცია განახორციელეთ მოგვიანებით.

დაშლის საშიში პროდუქტები (ხანძრის პირობებში): შეიძლება წარმოქმნას აირები, როგორებიცაა ფტორის ნაერთები, ნახშირბადისა და აზოტის ოქსიდები.

6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

პირადი უსაფრთხოების ზომები: გამოიყენეთ გარემოების შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. პირადი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 ნაწილში.

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები: თავიდან აიცილეთ ნივთიერების საზოგადოებრივი კანალიზაციის სისტემებში ან ნებისმიერი დანიშნულების არხებში შეღწევა. არ ჩაღვართ სანიაღვრე სისტემებში. ნიადაგზე ან მსგავს ზედაპირებზე პრეპარატის დიდი რაოდენობის დაღვრის შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს მიწისზედა ფენის მოხსნა. დაბინძურებული მიწის ფენა მოათავსეთ უტილიზაციისათვის განკუთვნილ შესაბამის კონტეინერში.

ლოკალიზაციის მეთოდები: დაღვრილი პრეპარატი ამოაშრეთ/შეაკავეთ შთანთქმელი ან გაუმტარი მასალების გამოყენებით, როგორცაა მიწა, ქვიშა ან თიხა. შეაგროვეთ და შეინახეთ დაბინძურებული შთანთქმელი და შემაკავებელი მასალები შემდგომი უტილიზაციისათვის.

დასუფთავებისა და უტილიზაციის მეთოდები: დაღვრილი სითხე გადაქაჩეთ შესაბამის კონტეინერში. ნარჩენები ამოაშრეთ ინერტული შთანთქმელი მასალით. მორეცხეთ დაღვრის მთელი ზონა თხევადი სარეცხი საშუალებებით, მოწმინდეთ და გადაიტანეთ უტილიზაციისათვის განკუთვნილ შესაბამის კონტეინერში. დასუფთავების შემდეგ გაწმინდეთ იარაღები და აღჭურვილობა. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ნაწილი 13: უტილიზაცია.

სხვა ინფორმაცია: მასშტაბური დაღვრის შესახებ შეიძლება ეცნობოს რეაგირების ეროვნულ ცენტრსა (800-424-8802) და სახელმწიფო და/ან ადგილობრივ სააგენტოებს.

7. გამოყენება და შენახვა

გამოყენება: თავიდან აიცილეთ პრეპარატის კანზე და თვალეში მოხვედრა. არ შეისუნთქოთ შხეფები ან ორთქლი. ჭამის, დაღვების, საღებავების რეზინის დაღვების წინ, თამბაქოს მოწევისას ან ტუალეტის გამოყენებამდე მომხმარებლებმა უნდა დაიბანონ ხელები. სასწრაფოდ მოიშორეთ ტანსაცმელი/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (PPE), თუ პესტიციდი შეაღწევს შიგნით. შემდეგ დაიბანეთ საფუძვლიანად და ჩაიცვით სუფთა ტანსაცმელი. ამ პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ მოიხსენიეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. მოხსნამდე გარეცხეთ ხელთათმენების გარე ზედაპირი. კარგად გარეცხეთ, რაც შეიძლება მალე, და შეცვალეთ სუფთა ტანსაცმლით.

შენახვა: პესტიციდი შეინახეთ ქარხნულ ტარაში. შეინახეთ გრილ, მშრალ, დაცულ ადგილზე. პრეპარატი ან განზავებული შესასხურებელი ხსნარი არ ჩაასხათ საკვებისთვის ან სასმელისთვის განკუთვნილ კონტეინერებში. არ დააბინძუროთ საკვები პროდუქტები ან ფურაჟი. არ შეინახოთ ან გადაიტანოთ საკვებ პროდუქტებთან და ფურაჟთან ერთად. არ არის განკუთვნილი სახლში ან მის გარშემო ტერიტორიაზე გამოსაყენებლად ან შესანახად. ამ პრეპარატთან დაკავშირებული დაღვრის, გაჟონვის, ხანძრის ან ზემოქმედების დროს დახმარების მისაღებად, დარეკეთ CHEMTREC-ის სადღეღამისო ცენტრში (800) 424-9300.

პრეპარატის შენახვის ან უტილიზაციის დროს არ დააბინძუროთ სხვა პესტიციდები, სასუქები, წყალი, კვების პროდუქტები ან ფურაჟი.

8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოების დაცვა

საინჟინრო კონტროლი:

იქ, სადაც გამოყენების სპეციფიკური პირობები ან შესაძლო გადაჭარბებული ექსპოზიცია მოითხოვს საინჟინრო კონტროლს, გამოიყენეთ ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:

თვალის/სახის დაცვა: თვალში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ დამცავი სათვალე ან უსაფრთხოების სათვალე.

კანის დაცვა: კანზე მოხვედრის თავიდან ასაცილებლად ჩაიცვით გრძელმკლავიანი პერანგი და გრძელი შარვალი, ფეხსაცმელი, წინდები და ნებისმიერი წყალგაუმტარი მასალისგან დამზადებული ქიმიური ნივთიერებების მიმართ მედეგი ხელთათმენი. სამუშაო ადგილზე ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს დასაბანი მოწყობილობები და საშუალებები.

სასუნთქი გზების დაცვა: ჩვეულებრივ არ არის საჭირო. თუ ორთქლი, შხეფები ან მტვერი აღემატება დასაშვებ დონეს, გამოიყენეთ NIOSH-ის მიერ აპრობირებული ჰაერგამწმენდი რესპირატორი/აირწინალი, პესტიციდების წინააღმდეგ გამოსაყენებლად აპრობირებული კარტრიჯებით/აირწინალის ბალონებით.

ზოგადი ჰიგიენური მოთხოვნები: პირადი ჰიგიენა არის სამუშაო ადგილზე ზემოქმედების კონტროლის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და ამ მასალასთან მუშაობის ან მისი განკარგვის დროს მიღებული უნდა იქნეს შემდეგი ზოგადი ზომები: 1) არ შეინახოთ, არ გამოიყენოთ და/ან მიიღოთ საკვები, სასმელი, თამბაქოს ნაწარმი ან კოსმეტიკა იმ ადგილებში, სადაც ეს პრეპარატი ინახება; 2) ჭამის, დაღვების, თამბაქოს მოწევის წინ, კოსმეტიკური საშუალებების ან ტუალეტის გამოყენებამდე გულდასმით დაიბანეთ ხელები და სახე.

ექსპოზიციის/ზემოქმედების სახელმძღვანელო მითითებები:

კომპონენტი	OSHA		ACGIH		Unit
	TWA	STEL	TWA	STEL	
ფლუმოიქსაზინი	NE	NE	NE	NE	
პროპილენ გლიკოლი	10 (WEEL)	NE	NE	NE	მგ/მ ³

NE = არ არის დადგენილი

9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

გარეგანი სახე:

სუნი:

სუნის ზღურბლი:

pH:

ღლობის ტემპერატურა/გაყინვის ტემპერატურა:

დუღილის საწყისი ტემპერატურა და დუღილის დიაპაზონი:

აალების ტემპერატურა:

თეთრი/რძისფერი სითხე

ზომიერად მჟავე

მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

6.38 (1% w/w დისპერსია in DIW @ 25°C)

მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

წყალხსნარი; >212° F (>100° C)

აორთქლების სიჩქარე:
აალებადობა:
აალებადობის ან ფეთქებადობის ქვედა/ზედა ზღვრები:
ორთქლის წნევა:
ორთქლის სიმკვრივე:
ფარდობითი სიმკვრივე:
ხსნადობა(ები):
განაწილების კოეფიციენტი (ნ-ოქტანოლი/წყალი)
თვითაალების ტემპერატურა
დაშლის ტემპერატურა
სიბლანტე

მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
1.157 g/mL @ 24° C
მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
487.2 cPs @ 24° C; 266.8 cPs @ 42 ° C
(50 RPM, Brookfield)

შენიშვნა: ფიზიკური მონაცემები ტიპური მნიშვნელობებია, თუმცა შეიძლება განსხვავდებოდეს ნიმუშიდან ნიმუშამდე. ტიპური მნიშვნელობა არ უნდა იქნას გაგებული, როგორც გარანტირებული ანალიზი ან როგორც სპეციფიკაცია.

10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

რეაქტიულობა: არ არის რეაქტიული.
ქიმიური მდგრადობა: პრეპარატი სტაბილურია გამოყენებისა და შენახვის ნორმალურ პირობებში.
სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა: საშიში პოლიმერიზაცია არ მოხდება.
ასარიდებელი გარემოებები: ჭარბი სითბო. არ შეინახოთ სითბოსა და აალების წყაროებთან ახლოს.
შუთავსებელი მასალები: ძლიერი დამჟანგავი აგენტები, როგორებიცაა ქლორატები, ნიტრატები და ზეჟანგები.
საშიში დაშლის პროდუქტები: ხანძრის პირობებში შეიძლება წარმოიქმნას აირები, როგორებიცაა ფტორის ნაერთები, ნახშირბადისა და აზოტის ოქსიდები.

11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

ზემოქმედების სავარაუდო გზები: ინჰალაცია, კანთან კონტაქტი, თვალთან კონტაქტი
თვალთან შეხებისას: შეიძლება გამოიწვიოს მსუბუქი გაღიზიანება. ტოქსიკურობის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, არ იწვევს გამაღიზიანებელ მოქმედებას თვალებზე.
კანთან შეხებისას: შეიძლება გამოიწვიოს მსუბუქი გაღიზიანება ხანგრძლივი ან განმეორებითი ექსპოზიციის დროს. ტოქსიკურობის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, არ აღიზიანებს კანს ან იწვევს მსუბუქ გაღიზიანებას.
გადაყლაპვისას: შეიძლება საზიანო იყოს დიდი რაოდენობით გადაყლაპვისას. მცირედ ტოქსიკურია გადაყლაპვისას.
ჩასუნთქვისას: შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების მსუბუქი გაღიზიანება. მცირედ ტოქსიკურია ჩასუნთქვისას.
ზემოქმედების სიმპტომები: არ არის მოსალოდნელი.
ზემოქმედების დაგვიანებული, მყისიერი და ქრონიკული ეფექტები: გვერდითი ეფექტები, რომლებიც დაფიქსირდა ცხოველებში ტექნიკური ფლუმოიქსაზინის მაღალი დოზებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზემოქმედებისას, მოიცავდა სისხლზე, ღვიძლზე და თირკმელებზე გავლენას.
ტოქსიკოლოგიური მონაცემები:
ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მონაცემები რეზიუმირებულია ქვემოთ:
პერორალური: LD₅₀ ვირთაგვა: > 5000 მგ/კგ (მდედრი)
დერმალური: LD₅₀ ვირთაგვა: >5000 მგ/კგ
ინჰალაციური: 4-სთ LC₅₀ ვირთაგვები: >2.10 მგ/ლ (უმადლესი დოზების ტესტირებისას სიკვდილიანობა არ დაფიქსირებულა)
თვალის გაღიზიანება: ბოცვერი: არ იწვევს გაღიზიანებას.
კანის გაღიზიანება: ბოცვერი: იწვევს მსუბუქ გაღიზიანებას (PDII=0.1).
კანის სენსიბილიზაცია: არ არის კონტაქტური სენსიბილიზატორი თავების ადგილობრივი ლიმფური კვანძის (LLNA) ანალიზში.
სუბქრონიკული (სამიზნე ორგანოს) ეფექტები: ტექნიკურ ფლუმოიქსაზინთან დაკავშირებული ეფექტები, რომლებიც გამოვლინდა ვირთაგვებში მაღალი დოზებით სუბქრონიკული ზემოქმედების შედეგად იყო ჰემატოტოქსიკურობა ანემიის ჩათვლით, და ღვიძლის, ელენთის, გულის, თირკმელებისა და ფარისებრი ჯირკვლის მასის ზრდა. ძაღლებში მაღალი დოზებით გამოწვეული ეფექტები მოიცავდა აქტივირებული ნაწილობრივი თრომბოპლასტინის დროის უმნიშვნელო გაზარდვას, გაზრდილ ქოლესტერინსა და ფოსფოლიპიდებს, ტუტე ფოსფატას მაღალ დონეს, ღვიძლის წონის მატებასა და ღვიძლში ჰისტოლოგიურ ცვლილებებს. ვირთაგვებზე ჩატარებულ სუბქრონიკული ტოქსიკურობის სამთვიან კვლევებში, უმცირესი დაუფიქსირებელი ზემოქმედების დონე (NOEL) შეადგენდა 30 ppm-ს.

კანცეროგენურობა/ჯანმრთელობის ქრონიკული ეფექტები: ცხოველებში ტექნიკური ფლუმიოქსაზინის განმეორებითმა ზემოქმედებამ გამოიწვია ანემია და სისხლწარმოქმნის სხვა ცვლილებები, ორგანოების წონისა და სისხლის ქიმიური შედგენილობის ცვლილებები. ტექნიკურმა ფლუმიოქსაზინმა არ გამოიწვია კიბო ლაბორატორიული ცხოველების მთელი სიცოცხლის მანძილზე კვების კვლევებში.

რეპროდუქციული ტოქსიკურობა: ვირთაგვებში რეპროდუქციული ეფექტები გამოვლინდა ტექნიკური ფლუმიოქსაზინის მაღალი დოზებით ზემოქმედების დროს.

განვითარების ტოქსიკურობა: ტექნიკური ფლუმიოქსაზინის ზემოქმედებამ მდებრი ვირთაგვების ნაშიერებში გამოიწვია თანდაყოლილი დეფექტები. კურდღლებზე არანაირი ეფექტი არ დაფიქსირებულა.

გენოტოქსიკურობა: ტექნიკური ფლუმიოქსაზინი არ წარმოქმნის გენეტიკურ საშიშროებას.

კანცეროგენურობის შეფასება: არ არის მითითებული ACGIH, IARC, NTP ან OSHA-ში

12. ეკოლოგიური ინფორმაცია

ეკოტოქსიკურობა: ტექნიკური ფლუმიოქსაზინი პრაქტიკულად არ არის ტოქსიკური ფუტკრებისა და ფრინველების სახეობების მიმართ. ის მცირედან ზომიერამდე ტოქსიკურია მტკნარი წყლის თევზებისათვის და ზომიერიდან ძალიან ტოქსიკურია წყლის უხერხემლოებისათვის.

მოქმედ ნივთიერება ფლუმიოქსაზინზე ჩატარებული კვლევებიდან:

96-საათიანი LC ₅₀ ცისარტყელა კალმახი:	2.3 მგ/ლ
96-საათიანი LC ₅₀ Bluegill Sunfish: ბლუგილი, მზის ქორჭილა	> 21 მგ/ლ
48-საათიანი EC ₅₀ დაფნია მაგნა:	> 5.5 მგ/ლ
96-საათიანი LC ₅₀ Sheepshead Minnow: კობრისკბილასებრნთა ოჯახი	>4.7 მგ/ლ
96-საათიანი LC ₅₀ მიზიდები:	0.23 მგ/ლ
მწვავე კონტაქტური LC ₅₀ მეთაფლია ფუტკრები:	105 მკგ/ფუტკარზე
ვირჯინიული გნოლი პერორალური LD ₅₀ :	>2,250 მგ/კგ
ვირჯინიული გნოლი 8-დღიანი კვებითი LC ₅₀ :	>5,620 ppm
გარეული იხვი პერორალური LD ₅₀ :	>2,250 მგ/კგ
გარეული იხვი პერორალური LD ₅₀ :	>5,620 ppm

ეკოლოგიური ქცევა:

ფლუმიოქსაზინი სწრაფად იშლება წყალში და ნიადაგში. დაშლა მიმდინარეობს ჰიდროლიზისა და მიკრობული დაჟანგვის პროცესების ერთობლიობით. ფლუმიოქსაზინი სწრაფად იშლება, თუმცა ცალკეული შუალედური ნაერთები არ აკუმულირდება და საბოლოო გარემოს პროდუქტები უერთდება ნიადაგის ორგანულ ნივთიერებებსა და ნახშირორჟანგს. სვეტური გამოტუტვის კვლევებისა და ნიადაგის აერობული ნახევარ დაშლის ხანმოკლე პერიოდის საფუძველზე, სავსე სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში ფლუმიოქსაზინის ან მისი დაშლის პროდუქტების გამოტუტვის პოტენციალი არის დაბალი. ხარჯვის დაბალი ნორმა და ნიადაგში სწრაფად დაშლის უნარი განაპირობებს თესლბრუნვის კულტურებზე გადასვლის დაბალ პოტენციალს.

13. განკარგვა/უტილიზაცია

ნარჩენების უტილიზაციის მეთოდი:

ამ პრეპარატის გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შეიძლება განადგურდეს ადგილზე ან ნარჩენების უტილიზაციის უფლებამოსილ საწარმოში/ობიექტზე. ჭარბი პესტიციდის არასათანადო განადგურება ფედერალური კანონის დარღვევად ითვლება.

პრეპარატის ტარის (კონტეინერის) დამუშავება და განადგურება:

5 გალონი ან ნაკლები ტევადობის ერთჯერადი ტარა: ერთჯერადი ტარა. დაუშვებელია პრეპარატის ტარის ხელმეორედ გამოყენება ან შევსება. თუ ეს შესაძლებელია, შესთავაზეთ გადამუშავება. დაცლის შემდეგ ტარა (ან ტოლოფასი შემცველი) დაუყოვნებლივ გამორეცხეთ სამჯერ.

სამჯერ გამორეცხეთ შემდეგნაირად: დარჩენილი შიგთავსი ჩაასხით შემასხურებელ მოწყობილობაში ან შემრევ ავზში და ჩაცალეთ ნაკადის წვეთ-წვეთად ჩამოდინების დაწყებიდან 10 წამის განმავლობაში. შეავსეთ ტარა 1/4 წყლით და მჭიდროდ დაახურეთ თავსახური. შეანჯღრიეთ 10 წამის განმავლობაში. გამონარეცი სითხე ჩაასხით შემასხურებელ მოწყობილობაში ან ნარევის მოსამზადებელ ავზში ან შეინახეთ ის შემდგომი გამოყენებისთვის ან უტილიზაციისთვის.

ჩაცალეთ ნაკადის წვეთ-წვეთად ჩამოდინების დაწყებიდან 10 წამის განმავლობაში. გაიმეორეთ აღნიშნული პროცედურა კიდევ ორჯერ. შემდეგ ჩააბარეთ გადასამუშავებლად ან აღსადგენად, ან დახვრიტეთ და გაანადგურეთ სანიტარულ ნაგავსაყრელზე, ან სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი სხვა პროცედურების შესაბამისად. პლასტმასის ტარის უტილიზაცია ასევე შეიძლება ინსინერაციით ან დაწვით, თუ ეს ნებადართულია სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. დაწვის დროს მოერიდეთ კვამლს.

5 გალონი ან მეტი ტევადობის ერთჯერადი ტარა: ერთჯერადი ტარა. დაუშვებელია პრეპარატის ტარის ხელმეორედ გამოყენება ან შევსება. თუ ეს შესაძლებელია, ჩააბარეთ გადასამუშავებლად. თუ გადამუშავება ან აღდგენა შეუძლებელია, დახვრიტეთ ტარა და გაანადგურეთ სანიტარულ ნაგავსაყრელზე, ან სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი სხვა პროცედურების შესაბამისად. პლასტმასის ტარის უტილიზაცია ასევე შეიძლება ინსინერაციით ან დაწვით, თუ ეს ნებადართულია სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. დაწვის დროს მოერიდეთ კვამლს. დაცლის შემდეგ დაუყოვნებლივ სამჯერ გამორეცხეთ ან წწევით გამორეცხეთ ტარა (ან ტოლფასი შემცვლელი).

სამჯერ გამორეცხეთ შემდეგნაირად: დარჩენილი შიგთავსი ჩაასხით შემასხურებელ მოწყობილობაში ან შემრევ ავზში. შეავსეთ პრეპარატის ტარა 1/4 წყლით. შეცვალეთ და მჭიდროდ დაახურეთ თავსახური. დააწვინეთ ტარა გვერდულად და გადააგორეთ წინ და უკან, ისე, რომ უზრუნველყოთ მინიმუმ ერთი სრული ბრუნვა, 30 წამის განმავლობაში. დადგით ტარა მის ძირზე და რამოდენიმეჯერ გადახარეთ წინ და უკან. გადააბრუნეთ ტარა მეორე ბოლოზე და რამოდენიმეჯერ გადახარეთ წინ და უკან. გამონარეცხი ჩაასხით შემასხურებელ მოწყობილობაში ან ნარევის მოსამზადებელ ავზში ან შეინახეთ ის შემდგომი გამოყენებისათვის ან უტილიზაციისათვის. გაიმეორეთ აღნიშნული პროცედურა კიდევ ორჯერ.

გამორეცხეთ წწევით შემდეგნაირად: დარჩენილი შიგთავსი ჩაასხით შემასხურებელ მოწყობილობაში ან შემრევ ავზში და გააგრძელეთ ჩაცლა ნაკადის წვეთ-წვეთად ჩამოდინების დაწყებიდან 10 წამის განმავლობაში. დააყრდნეთ ტარა თავდაყირა შემასხურებელ მოწყობილობას ან ნარევის მოსამზადებელ ავზს ზემოდან ან შეაგროვეთ გამონარეცხი წყალი შემდგომი გამოყენებისათვის ან უტილიზაციისათვის. ჩადეთ წწევით გამრეცხი აპარატის ლულა ტარაში და გამორეცხეთ დაახლოებით 40 psi (ფუნტი კვადრატულ დუიმზე) წწევით მინიმუმ 30 წამის განმავლობაში. ჩაცალეთ ნაკადის წვეთ-წვეთად ჩამოდინების დაწყებიდან 10 წამის განმავლობაში.

5 გალონზე მეტი ტევადობის მრავალჯერადი ტარა: მრავალჯერადი ტარა. შეავსეთ ეს ტარა მხოლოდ პესტიციდებით. დაუშვებელია ცარიელი ტარის სხვა მიზნებისათვის გამოყენება. პრეპარატის ტარის გასუფთავება საბოლოო განადგურებამდე ტარის უტილიზაციის განმხორციელებელი პირის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. შევსებამდე გასუფთავება, შემსუბუქების პასუხისმგებლობაა. საბოლოო უტილიზაციამდე პრეპარატის ტარის გასაწმენდად, მასში დარჩენილი შიგთავსი ჩაასხით შემასხურებელ მოწყობილობაში ან შემრევ ავზში. შეავსეთ ტარა დაახლოებით 10% წყლით. შეანჯღრით ენერგიულად ან წყალის რეცირკულირება მოახდინეთ ტუმბოს საშუალებით ორი წუთის განმავლობაში. ჩაასხით ან ამოტუმბეთ გამონარეცხი შემასხურებელ მოწყობილობაში ან გამონარეცხის შესაგროვებელ სისტემაში. გამორეცხვის ეს პროცედურა გაიმეორეთ კიდევ ორჯერ.

14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

დაიცავით ამ MSDS-ის მე-7 ნაწილში: გამოყენება და შენახვა მითითებული უსაფრთხოების ზომები.

DOT

<119 გალონი ტევადობის მზა კონტეინერი

არ არის რეგლამენტირებული.

≥ 119 გალონი ტევადობის მზა კონტეინერი

გაეროს ნომერი 3082, ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, n.o.s., (ფლუმიოქსაზინი), 9, III, ზღვის დამაზინძურებელი

IMO / IMDG

გაეროს ნომერი 3082, ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, n.o.s., (ფლუმიოქსაზინი), 9, III, ზღვის დამაზინძურებელი

IATA

გაეროს ნომერი 3082, ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, n.o.s., (ფლუმიოქსაზინი), 9, III, ზღვის დამაზინძურებელი

15. მარეგულირებელი ინფორმაცია

EPA (აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტო) **FIFRA** (ფედერალური კანონი ინსექტიციდების, ფუნგიციდებისა და როდენტიციდების შესახებ) **ინფორმაცია**

ეს ქიმიური ნივთიერება არის პესტიციდი, რომელიც რეგისტრირებულია შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ და ექვემდებარება ეტიკეტირების გარკვეულ მოთხოვნებს პესტიციდების შესახებ ფედერალური კანონის შესაბამისად. ეს მოთხოვნები განსხვავდება კლასიფიკაციის კრიტერიუმებითა და საშიშროების შესახებ ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის (SDS) და სამუშაო ადგილზე არაპესტიციდური ქიმიური ნივთიერებების ტარის ეტიკეტირებისათვის. საშიშროების შესახებ ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული პესტიციდის ტარის ეტიკეტზე მოცემულია ქვემოთ. პესტიციდის ტარის ეტიკეტი ასევე შეიცავს სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას, მათ შორის გამოყენების ინსტრუქციას.

მაგნეა ჩასუნთქვისას ან შეიწოვება კანით. იწვევს თვალის ზომიერ გაღიზიანებას. არ შეისუნთქოთ შხეფები. მოარიდეთ კანთან, თვალბთან ან ტანსაცმელთან შეხებას.

აშშ-ს ფედერალური რეგულაციები

TSCA (ტოქსიკური ნივთიერების კონტროლის აქტი) სია: ეს პროდუქტი გათავისუფლებული არის TSCA-სგან, ვინაიდან ის განკუთვნილია მხოლოდ FIFRA რეგულაციების შესაბამისად გამოყენებისათვის.

SARA საშიშროების შესახებ შეტყობინება/მოსხენება:
საშიშროების კატეგორიები SARA-ს III თავის წესების (40 CFR ნაწილი 370) კრიტერიუმების შესაბამისად:
ჯანმრთელობისათვის ქრონიკული

პარაგრაფი 313 ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებ(ებ)ი:
არცერთი

რეგისტრირებული რაოდენობა (RQ) აშშ CERCLA –ის (ყოვლისმომცველი ეკოლოგიური ზიანის, კომპენსაციისა და პასუხისმგებლობის აქტი) თანახმად:
არცერთი

RCRA (რესურსების დაცვისა და აღდგენის აქტი) ნარჩენების კოდი:
RCRA-ს თანახმად, პრეპარატის მომხმარებლის პასუხისმგებლობაა, განკარგვის დროს განსაზღვროს, არის თუ არა პროდუქტის შემცველი მასალა ან პროდუქტისგან მიღებული მასალა სახიფათო ნარჩენი.

სახელმწიფოებრივი ინფორმაცია:
შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახელმწიფო რეგულაციები. შეამოწმეთ განსაკუთრებული სახელმწიფო მოთხოვნები.

16. დამატებითი ინფორმაცია

აშშ სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაციის (NFPA) საშიშროების კლასი:
საშიშროების კლასი პრეპარატისათვის: ჯანმრთელობა: 1 ალერგია: 1 რეაქციის უნარიანობა: 0
საშიშროების შკალა: 0 = მინიმალური 1 = უმნიშვნელო 2 = საშუალო 3 = სერიოზული 4 = მძიმე

ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი (SDS) ემსახურება სხვა მიზნებს და არ ანაცვლებს ან არ ცვლის EPA-ს მიერ დადგენილ პროდუქტის ეტიკეტირებას (მიმაგრებულია და თან ერთვის პროდუქტის ტარას). ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის დამსაქმებლებს, დასაქმებულ პერსონალს, გადაუდებელი დახმარების პერსონალსა და სხვა პირებს, რომლებიც არ მოიხმარენ პროდუქტს, მაგრამ ზოგადად აქვთ შეხება მის დიდ რაოდენობასთან, ხოლო ეტიკეტი შეიცავს უშუალოდ პროდუქტის ძირითადი გამოყენების შესახებ ინფორმაციას.

პესტიციდების გამოყენება, შენახვა და განადგურება რეგულირდება EPA-ს მიერ ინსექტიციდების, ფუნგიციდებისა და როდენტიციდების შესახებ ფედერალური კანონის (FIFRA) ფარგლებში, პროდუქტის ეტიკეტირების მეშვეობით, და უსაფრთხოების ზომების, გამოყენების, შენახვისა და ლიკვიდაციის შესახებ ყველა აუცილებელი და შესაბამისი ინფორმაციის ეტიკეტზე დატანით. პესტიციდის ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენება, რომელიც არ არის მითითებული EPA-ს მიერ დადგენილ ეტიკეტზე, ითვლება ფედერალური კანონის დარღვევად.

მიუხედავად იმისა, რომ აქ მოცემული ინფორმაცია და რეკომენდაციები (შემდგომში „ინფორმაცია“) წარმოდგენილია კუთხისინდისიერად და მიჩნეულია, რომ მიმდინარე თარიღისათვის არის სწორი, „ნუფარმ ამერიკას ინკ.“(Nufarm Americas Inc.) არ იღებს პასუხისმგებლობას მის სისრულესა და სიზუსტეზე. ინფორმაცია ვრცელდება იმ პირობით, რომ მომხმარებლებმა გამოყენებამდე თავად უნდა განსაზღვრონ მათი მიზნებისათვის პროდუქტის შესაბამისობა. არცერთ

შემთხვევაში „ნუფარმ ამერიკას ინკ.“ არ იქნება პასუხისმგებელი ინფორმაციის გამოყენებით ან მისდამი ნდობით გამოწვეულ რაიმე სახის ზარალზე.

არავითარი განაცხადი ან გარანტია, გამოხატული ან ნაგულისხმევი, კომერციულ ვარგისიანობაზე, კონკრეტულ ან ნებისმიერ სხვა მიზნებთან შესაბამისობაზე აქ არ არის გაცემული ინფორმაციასთან ან პროდუქტთან მიმართებაში, რომელსაც ახლავს ეს ინფორმაცია და ამით, ყველა მსგავსი გარანტია წინასწარ არის უარყოფილი.

გამოცემის თარიღი: 10 თებერვალი, 2019